პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 6 21 0000787105

11/08/2021

ა(ა)იპ ახალი პროფესიული კოლეჯისთვის „საქმისმწარმოებელი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2021 წლის 13 ივლისის №358 დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ ახალ პროფესიულ კოლეჯს (ს/კ: 404379070) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - საქმისმწარმოებელი /01131 **(დანართი).**
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 29 ივლისი.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 11 აგვისტოს №786078 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01131	საქმისმწარმოებელი	პროფესიული მომზადება	მეოთხე	12	ქართული	24	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ქ. №52